ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №9

14 მარტი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე,, საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი,დავით ფარცვანია, აკაკი ალადაშვილი.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი.
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(საკრ.№15-032206929-03; 11-01220692005 10,03,2022წ)

(საკრ.№15-032206960-03; 11-01220693537 10,03,2022წ)

(საკრ.№15-032207086-03; 11-01220702992 11,03,2022წ)

(საკრ.№15-032207075-03; 11-0122070956 10,03,2022წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

საკითხი წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ.

წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების კვარტალური ცვლილებები.

კერძოდ გლდანის რაიონის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამაში (პროგ.კოდი 05 01 08) პირველ კვარტალს ემატება 250 000 ლარი, თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვრატლიდან. გამგეობა წერილობით მომართვაში აღნიშნავს, რომ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განსახორციელ;ებელი სამუშოების შესრულება.

„გარდაცვლილ მეომერთა სარიტუალო ღონისძიებების" პროგრამაში (პროგ.კოდი 06 02 15 07) პირველ კვარტალს ემატება 2800 ლარი, ხოლო „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები" პროგრამაში (პროგ.კოდი 06 02 16 07) პირველ კვარტალს ემატება 5500 ლარი, თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან. გამგეობა აღნიშნავს, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად პირველ კვარტალში საკმარისი რესურსი არ აქვთ.

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო წერილობთ მომართვაში აღნიშნავს, რომ პროგრამის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა" (პროგ.კოდი 07 01 02) პირველი

კვარტალი დაიგეგმა, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, აღსაზრდელთა სწრებადობის ნაკლები მაჩვენებელით, თუმცა მიმდინარე პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა სწრებადობა, რამაც გამოიწვია თანხის დეფიციტი. აქედან გამომდინარე პირველ კვარტალში ემატება 1 000 000 ლარი, თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

მოსალოდნელზე მეტი მოცულობის შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, პირველ კვარტალში თანხის დამატება სჭირდებათ კრწანისის, მთაწმინდის,ნაძალადევის, სამგორის და დიდუბის რაიონულ გამგეობებს.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში" (პროგ.კოდი 02 09 17) საერთო ჯამში პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 24 188 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში" (პროგ.კოდი 01 01 16) პირველი კვარტალი იზრდება 65 000 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში" (პროგ.კოდი 02 09 19) პირველი კვარტალი იზრდება 17 500 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში" პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 74 000 ლარით. გარდა ამისა ამავე პროგრამაში ხდება მუხლობრივი ცვლილება. „მიმდინარე ტრანსფერი"- იზრდება 635 876 ლარით, „კაპიტალური ტრანსფერის" შესაბამისად შემცირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იწყებს ძველი და ავარიული შენობების ახალი საცხოვრებელი კორპუსებით ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებას, რაც გულისხმობს ძველი საცხოვრებელი შენობების ახალი, თანამედროვე კორპუსებით ეტაპობრივ ჩანაცვლებას. მშენებლობის დამთავრების შემდეგ საცხოვრებელი ფართების მესაკუთრეებს, იმავე ადგილას გადაეცემათ შესაბამისი ფართი გარემონტებულ მდგომარეობაში. მოსახლეობის ნაწილი უპირატესობას ანიჭებს აღნიშნულ პროგრამაში ჩართვას, რის გამოც აღარ აპირებს შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოების განხორციელებას.

იზრდება ასევე „სარეზერვო ფონდი" პირველი კვარტალი 278 000 ლარით და „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი" (პროგ.კოდი 10 28) პირველი კვარტალი 517 500 ლარით. როგორც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, ერთერთი კომპანია, აღებულ ვალდებულებებს ასრულებდა დაგვიანებებით, რისთვისაც ეკისრებოდა პირგასამტეხლოები.კომპანიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოიგო.

ასევე იზრდება საკრებულოს აპარატის პირველი კვარტლის გეგმა 110 000 ლარით. აღნიშნული ესაჭიროებათ კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად.

საერთო ჯამში გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 2207688 ლარით, მომდევნო კვარტლების თანხების შემცირებით, ხოლო დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე- 9. თავი შეიკავა - საბა ბუაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, გამგეობების და საფინანსო საქალაქო სამსახური, ასევე ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების

ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის"ბ" ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა დასრულდა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე